



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 17-23 სექტემბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეშვიდე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო ;
- "მთავრობის" და "ხელისუფლების" გაშუქების ტონი მკვეთრად ნეგატიურია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ყველა ტელეკომპანიამ მეტ-ნაკლებად დაუთმო დრო კვირის მთავარ მოვლენას - სასჯელადსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელებას და ძალადობის წინააღმდეგ მოწყობილ საპროტესტო აქციებს;
- წინა პერიოდებთან შედარებით მკვეთრად შემცირდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქება;
- მოიმატა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების გაშუქებამ;
- სიუჟეტების უმეტესობა სუბიექტების აქტივობების შესახებ ზედაპირულ ინფორმაციას შეიცავს და არ წარმოაჩენს საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ ან კრიტიკულ მოსაზრებებს;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 17-23 სექტემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

17-23 სექტემბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

ტელეკომპანია "მე-12 არხმა" (ქ. ბოლნისი) უარი განაცხადა ჩვენთვის საინფორმაციო გადაცემების ვიდეოჩანაწერების მოწოდებაზე (როგორც ის ამას ადრე აკეთებდა), ამიტომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში ეს ტელეკომპანია ვერ მოხვდა. ვცდილობთ მოვნახოთ გადაცემების მიღების ალტერნატიული გზა.

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი

და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.


მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგებების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი

საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).

ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 21 წუთი ხელისუფლების (ზოგადად, დაკონკრეტების გარეშე) გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 18-18 წუთი წილად ხვდათ კოალიცია "ქართულ ოცნებას" და მთავრობას. მათ 12 წუთით მოჰყვება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.




სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი დაფიქსირდა. ყველაზე მაღალი ნეგატიური ტონი ხელისუფლებასა (98%) და მთავრობაზე (84%) საუბრისას გამოვლინდა. ერთიანი

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში ნეიტრალური (45%) და ნეგატიური (44%) ტონები თითქმის თანაბარი იყო. კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების 80% ნეიტრალური იყო.




პირდაპირი-ირიბი საუბრის მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას. ირიბი საუბრის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ხელისუფლებას (100%), მთავრობას (96%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (72%) ჰქონდა.




17-23 სექტემბრის პერიოდში ტელეკომპანია „25-ე არხი“ აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტები ძირითადად პატიმართა წამების საკითხის ირგვლივ მზადდებოდა, თითქმის ყველა სიუჟეტი ამ თემას უკავშირდებოდა. სიუჟეტებში ხელისუფლების და მთავრობის გაშუქების უდიდესი წილი ნეგატიური იყო. თუმცა, ტელეკომპანია მმართველი გუნდის პოზიციებსაც წარმოადგენდა და მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ამ თემის გაშუქებისას ბალანსი დაცული იყო.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო - 44 წუთი მთავრობას დაეთმო. გაშუქების 9-9 წუთი წილად ხვდათ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ხოლო 6 წუთი - პრეზიდენტს.




ყველაზე ხშირად გაშუქებული მთავრობის მიმართ სამივე ტონი გამოვლინდა. მის მიმართ დაფიქსირდა ნეგატიურ ტონში გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 46%. ნეიტრალურ ტონში გაშუქების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (86%) პრეზიდენტს ჰქონდა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ნეიტრალურ და ნეგატიურ (14%) ტონებში იყო გაშუქებული. პოზიტიურ ტონში გაშუქება ერთნაირი ჰქონდათ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. ამ უკანასკნელის მიმართ გაშუქების ნეგატიური ტონიც დაფიქსირდა - 10%. ასევე ერთნაირი იყო კოალიცია "ქართული ოცნების" და თავისუფალი

საქართველოს (გაშუქების 4-4 წუთი) პოზიტიური (31%) და ნეიტრალური (69%) საუბრის მაჩვენებლები.




სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები. პირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (75%) პრეზიდენტს ჰქონდა. პირდაპირი - ირიბი საუბრის მაჩვენებელი კოალიცია "ქართული ოცნების" და თავისუფალი საქართველოს შემთხვევაში ერთნაირი იყო; ასევე ფაქტიურად მსგავსი იყო ეს მაჩვენებლები მთავრობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას.




აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია "რიონის" საინფორმაციო გადაცემების ქრონომეტრაჟი გაიზარდა. იგი აშუქებდა როგორც ადგილობრივ, ასევე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ყველაზე დიდი დრო მთავრობას დაუთმო. მთავრობისთვის დათმობილი დრო ხუთჯერ აღემატებოდა ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე მყოფ ერთიანი ნაციონალურ მოძრაობისთვის დათმობილ დროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის ასეთი გაშუქება (44 წუთი) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებას მოჰყვა და მთავრობის უმეტესწილად ნეგატიური ტონით გაშუქებაც (46%) სწორედ ამ თემამ გამოიწვია. ტელეკომპანიამ დიდი დრო დაუთმო თბილისსა და ქუთაისში მიმდინარე ძალადობის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების გაშუქებას.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო (12 წთ.) მთავრობას დაეთმო. გაშუქების 9-9 წუთი წილად ხვდათ ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას და ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო 2 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაშუქებულან.



გაშუქებულ სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში. ყველაზე ხშირად ნეგატიური ტონში კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" საუბრობდნენ (66%). გაშუქების ნეგატიური ტონი გამოვლინდა მთავრობის მიმართაც (9%).



პირდაპირი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 60%; ხოლო ირიბი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი - მთავრობას (74%) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (85%).




საანგარიშო პერიოდში ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებისა და მმართველი პარტიის საქმიანობას აშუქებდა, უმეტესად პოზიტიურ ტონში.

ტელეკომპანიამ სხვა არხებთან შედარებით ნაკლები დრო დაუთმო სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა წამების საკითხს (მოცემულ პერიოდში ეს თემა ყველაზე აქტუალური იყო). უნდა აღინიშნოს, რომ თემის ირგვლივ მომზადებული სიუჟეტები ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების პოზიციას წარმოაჩენდა. არ გაშუქებულა არც აქციები, სადაც სტუდენტები ხელისუფლების წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვდნენ. საინფორმაციო გადაცემაში გავიდა მხოლოდ ერთი 40 წამიანი სიუჟეტი. აღნიშნულ სიუჟეტში ჟურნალისტი აცხადებდა, რომ ახალგაზრდებმა პატიმრების სოლიდარობის ნიშნად აქცია მოაწყვეს. რესპონდენტებად კი წარმოდგენილი ჰყავდა ორი ქალბატონი, რომლებიც „ახალგაზრდების“ სოციალურ ჯგუფს, ამ ცნების გავრცელებული გაგებით, არ მიეკუთვნებიან.

გარდა ამისა, იყო შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტის ტექსტი და ინფორმაციის წყაროს კომენტარი ურთიერთსაპირისპირო იყო. მაგალითად, 22 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტი ამბობს, რომ დაფიქსირდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი სამართალდარღვევა, როდესაც კოალიციის წევრები საარჩევნო პლაკატებს კანონის დარღვევით აკრავდნენ. ზედამხედველობის სამსახურის უფროსი კი აღნიშნავს, რომ ამ სამართალდამრღვევი პირის ვინაობა დაუდგენელია. აღსანიშნავია, რომ ნეგატიურ ტონში


გამუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა (66%).

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის არც ერთი სუბიექტი ფაქტიურად არ გამოუქვებულა, ყველას ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო. მათთვის დათმობილი დროიდან გამომდინარე შეუძლებელია რაოდენობრივი კვლევის სხვა მახასიათებლებზე ვისაუბროთ.




როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიას მონიტორინგის სუბიექტები ერთ წუთზე მეტხანს არ გაუშუქებია. სიუჟეტებში იგრძნობა ჟურნალისტის ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი. მაგალითად, 18 სექტემბრის სიუჟეტში, სადაც აღწერილია მუნიციპალიტეტის უფროსის, ალექსანდრე ქობალიას შეხვედრა ზუგდიდის მოსახლეობასთან, ჟურნალისტი ამბობს: *„წუხელ განათებულ ქუჩებში მოსახლეობის ჟრიამული და უჩვეულო განწყობა იგრძნობოდა, ადგილობრივები გამგებელთან შეხვედრით კმაყოფილები დარჩნენ“.*


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 8 წუთი, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო, 7 წუთი - მთავრობას, 5 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ. კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქების ასივე პროცენტი ნეიტრალური იყო. ასევე დაფიქსირდა ნეგატიურ ტონში გაშუქების მაღალი მაჩვენებელი მთავრობის (80%) მიმართ.




სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო, მხოლოდ მთავრობის მიმართ გამოვლინდა ირიბი საუბრის 100%.




ტელეკომპანია "მეცხრე არხი" აქტიურად აშუქებდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ახალი ამბების გამოშვებებში მნიშვნელოვანი დრო კვირის მთავარ თემასაც (პატიმართა წამება სასჯელადსრულების დაწესებულებებში) დაეთმო. თუმცა, არხმა მთავარი აქცენტი რეგიონში პატიმრების წამების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე გააკეთა. კერძოდ, ახალციხის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შტაბის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ მიტინგზე, სადაც პატიმრების წამების ფაქტები დაგმეს. გაშუქდა კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ ორგანიზებული სოლიდარობის აქციაც.

ფაქტების გაშუქებისას ჟურნალისტები ცდილობდნენ მიუკერძოებლად აესახათ რეალობა, თუმცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ პოზიტიური განწყობა მაინც იგრძნობოდა.


"თანამგზავი" (თელავი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან საინფორმაციო გამოშვებებში 4 წუთის განმავლობაში გაშუქდა კოალიცია "ქართული ოცნება". 2-2 წუთი დაეთმო: პრეზიდენტს, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, მთავრობას და ხელისუფლებას.



გაშუქებულ სუბიექტებზე სამივე ტონში საუბრობდნენ. მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ გამოვლინდა პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონებში საუბარი. ნეგატიური გაშუქების მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ ხელისუფლებას (85%) და მთავრობას (49%); ხოლო ნეიტრალურ ტონში გაშუქების - კალიცია "ქართულ ოცნებას" (74%).




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. მხოლოდ კოალიცია "ქართულ ოცნებას" ჰქონდა პირდაპირი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი - 67%.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "თანამგზავრმა" ყველაზე დიდი დრო კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო. ასევე დიდი დრო დაეთმო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა წამების შესახებ მომზადებულ მასალას. გაშუქდა თელავში ძალადობის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციებიც.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 9 წუთი მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 6 წუთი - ხელისუფლებას და 5 წუთი - ლეიბორისტულ პარტიას. დანარჩენ გაშუქებულ სუბიექტებზე დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: 5 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობა, 4 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 3 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნება".



სუბიექტებზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა. ნეგატიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ხელისუფლებას (95%), მთავრობას (82%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (71%). აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის მიმართ გაშუქების მხოლოდ პოზიტიური (29%) და ნეგატიური ტონები დაფიქსირდა. გაშუქების 2 ტონი, ოღონდ პოზიტიური (23%) და ნეიტრალური (77%) ჰქონდა ლეიბორისტულ პარტიასაც.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი თითქმის ყოველთვის სჭარბობდა პირდაპირს. მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის შემთხვევებში იყო პირდაპირი საუბარი უფრო მეტი.




ტელეკომპანია „თრიალეთის“ საანგარიშო კვირის (17-23 სექტემბერი) მთავარი თემა პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელება და ამ თემის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების გაშუქება იყო. ამ საკითხის გაშუქებისას უმეტესად ხელისუფლებისა და მმართველი გუნდის მიმართ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები ისმოდა, შესაბამისად, აღნიშნული სუბიექტები დროის უმეტესი ნაწილი ნეგატიურ ტონში გაშუქდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის ტექსტი ძირითადად მიუკერძოებელი იყო, თუმცა, ნაკლებად შუქდებოდა ხელისუფლების პოზიცია: პრეზიდენტისა და მინისტრების შეფასებები.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საინფორმაციო გამოშვებებში 5 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 3 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 2 წუთი - პრეზიდენტს. გაშუქების თითქმის 2-2 წუთი წილად ხვდათ ასევე თავისუფალ საქართველოს და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.



კოალიცია "ქართული ოცნების" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა, ორივეს შემთხვევაში ნეიტრალური სჭარბობდა. სხვა სუბიექტების გაშუქების დროსაც ნეიტრალური ტონი სჭარბობდა დადებითს და ნეგატიურს.



სუბიექტების გაშუქებისას მათზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ:




17-23 სექტემბრის მანძილზე ტელეკომპანია აქტიურად აშუქებდა პატიმრების წამების ფაქტთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. სიუჟეტები დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები ცდილობდნენ თანაბრად გაეშუქებინათ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ გამოთქმული მოსაზრებები. დროს უთმობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციის გაშუქებასაც.


აღიშნული მოვლენების გაშუქების გამო მკვეთრად მოიმატა მთავრობის ნეგატიურმა გაშუქებამ და იგი 53% შეადგენდა. წინაა საანგარიშო პერიოდებისგან განსხვავებით მოიმატა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ნეგატიურ ტონში გაშუქების მაჩვენებელმაც.

ასევე აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდებისგან განსხვავებით მკვეთრად იკლო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებამ. კვირის განმავლობაში მას წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.

"იმერვიზია" (ჭიათურა) - საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო (11 წთ.). გაშუქების 6 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", ხოლო 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.




გაშუქებულ სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ. მხოლოდ კალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას გამოვლინდა ნეგატიური (93%) და ნეიტრალური (7%) ტონები.




ირიბი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა კალიცია "ქართული ოცნების" მიმართ - 96%. სხვა შემთხვევებში ეს მაჩვენებელი ან თანაბარი იყო (ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა) ან პირდაპირი საუბარი სჭარბობდა ირიბს (ადგილობრივი თვითმმართველობა).




საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთ მთავარ თემას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბ-ბინაზე თავდასხმა წარმოადგენდა. არხი ზედაპირულად, დამატებითი არგუმენტების გარეშე აშუქებდა მოვლენებს. ზოგადად მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო რთულია შედეგების თვისებრივი ანალიზი.


"არგო" (ქ. ზესტაფონი) - ახალი ამბების გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებიდან 9 წუთი დაეთმო კოალიცია "ქართულ ოცნებას", 5 წუთი - ახალ მემარჯვენეებს, 3 წუთი - მთავრობას, ხოლო 2 წუთი - პრეზიდენტს. სხვა სუბიექტები საერთოდ არ გაუშუქებიათ.



გაშუქებული სუბიექტებიდან ნეგატიური ტონი პრეზიდენტზე (100%) და მთავრობაზე (48%) საუბრისას გამოვლინდა.




პრეზიდენტის გაშუქება მთლიანად არაპირდაპირი იყო, ასევე მაღალი იყო ეს მაჩვენებელი მთავრობის გაშუქებისას (91%).



საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია "არგო" საინფორმაციო გამოშვებებს ყოველდღიურად ამზადებდა. თუმცა, მათი ქრონომეტრაჟი 10 წუთს არ აღემატებოდა და მონიტორინგისთვის საინტერესო 4 სუბიექტი გაშუქდა. უნდა აღინიშნოს, რომ კვირის მთავარი მოვლენის (პატიმართა წამება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში) გაშუქების გამო მოიმატა მთავრობის და პრეზიდენტის მიმართ გამოვლენილმა ნეგატიურმა ტონმა.


20 სექტემბრის გამოშვებაში გაშუქდა კვალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი ზესტაფონში. გაშუქების 53% დადებითი იყო.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებიდან დაახლოებით 2-2 წუთი დაეთმოთ კვალიცია "ქართულ ოცნებას" და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაშუქებულან. ორივე გაშუქებულ სუბიექტზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ და გაშუქების 70% პირდაპირი საუბარზე მოდიოდა.




მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ბორჯომმა“ სამი საინფორმაციო გადაცემა მოამზადა, მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტებიდან მაინც მცირე ნაწილს დაეთმო დრო. შესაბამისად, რთულია თვისებრივი ანალიზის გაკეთება.

მარნეული ტვ (ქ. მარნეული) - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებიდან 2-2 წუთი დაეთმოთ მთავრობას და მოძრაობას სამართლიანი საქართველოსთვის. სხვა სუბიექტები საინფორმაციო გამოშვებებში ფაქტიურად არ გაშუქებიულან. სუბიექტებზე მხოლოდ დადებითად და ნეიტრალურად გაშუქდნენ. მთავრობის გაშუქების ასივე პროცენტი ირიბი საუბარი იყო.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამი საინფორმაციო გამოშვება მომზადდა. ქართულენოვანი გამოშვების ქრონომეტრაჟი 5 წთ-ს არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, ახალი ამბები არ გამოირჩეოდა თემების მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია, რომ კვირის მთავარი თემის შესახებ (პატიმრების წამების ფაქტები და სოლიდარობის აქციები) ერთი სიუჟეტი მომზადდა.

გურჯაანი (ქ. გურჯაანი) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო, 24 წუთი, მთავრობას დაეთმო. გაშუქების 7 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", 6 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, პრეზიდენტს - 5 წუთი, ხელისუფლებას - 4 წუთი.




სუბიექტებზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა. ნეგატიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობას (53%) ჰქონდა. თუმცა სიბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ. ნეიტრალური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა პრეზიდენტის მიმართ (87%).



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

მთავრობის გაშუქებისას ირიბი (84%) საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს (16%). სხვა, ყველაზე ხშირად გაშუქებული სუბიექტების, შემთხვევებში ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურჯაანი“ აქტიურად აშუქებდა კვირის მთავარ მოვლენას - საპატიმროებში პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელებას და იმ საპროტესტო აქციებს, რაც ამ კადრების ჩვენებას მოჰყვა. მთელი კვირის განმავლობაში ახალი ამბების მთავარი თემა სოლიდარობის აქციები იყო. აღნიშნულმა თემამ თითქმის მთლიანად გადაფარა პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება. ეს, ბუნებრივია, საანგარიშო კვირის შედეგებზეც აისახა. კერძოდ, მთავრობას ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გაშუქების ყველაზე დიდი დრო (25 წთ) დაეთმო. ამ დროის 53% ნეგატიურ ტონში გაშუქება იყო. ასევე მოიმატა ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გაშუქების ნეგატიურმა ტონმაც. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები ცდილობდნენ მაყურებლისთვის ამ თემის ირგვლივ დაბალანსებული და ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინათ.

17-23 სექტემბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემებში თითქმის თანაბრად დაეთმო დრო კოალიცია "ქართული ოცნებისა" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 17 სექტემბრის საინფორმაციო გამომშვების პირველი სამი სიუჟეტი რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაციას მიეძღვნა, სადაც ხელისუფლება, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დადებით ტონში იყო გაშუქებული.


სხვა პოლიტიკური პარტიების (ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის) გაშუქებას საერთო ჯამში 3 წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.

"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ დრო, დაახლოებით 3 წუთი, მხოლოდ კოალიცია "ქართულ ოცნებას" დაუთმო. მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაშუქებულან. კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" ნეიტრალურ (72%) და პოზიტიურ (28%) ტონებში იყო საუბარი. მისი გაშუქების 73% პირდაპირი საუბარი იყო.




საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია ლაგოდეხმა მონიტორინგის სუბიექტები თითქმის არ გააშუქა. მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" ბრიფინგს დაეთმო დაახლოებით 3 წუთი. სიუჟეტი ასევე მომზადდა სკოლებში განათლების სამინისტროს მიერ წიგნების დარიგებაზე (დაახლოებით 1 წუთი). მონიტორინგისთვის საინტერესო მასალის სიმცირის გამო რაიმე სახის ანალიზის გაკეთება რთულია და აზრს კარგავს.

"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 21 წუთი მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 10 წუთი - პრეზიდენტს 6 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". 5 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.




სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუმცა ნეიტრალურ ტონში გაშუქება სჭარბობდა. ნეგატიური ტონი გამოვლინდა მთავრობასა (33%) და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე (20%) საუბრისას.



გაშუქებული სამი სუბიექტიდან პირდაპირი საუბრის მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა პრეზიდენტს (89%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (83%), ხოლო ირიბი საუბრის -


მთავრობას (79%). სხვა სუბიექტების შემთხვევაში ეს მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო.



საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია „მეგა ტვ“ მონიტორინგის სუბიექტებს აქტიურად აშუქებდა. სიუჟეტები მომზადდა, როგორც ხელისუფლების სტრუქტურების, ასევე, ოპოზიციური პარტიების აქტივობების შესახებ. 17-23 სექტემბრის განმავლობაში მთავარი თემა პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელება იყო. ამ თემაზე ორი სიუჟეტი მომზადდა: ერთი სრულად ხელისუფლების პოზიციას წარმოაჩენდა, მეორე - ოპოზიციისას.

მთლიანობაში კვირის განმავლობაში მომზადებული საინფორმაციო გამოშვება დაბალანსებულია, იმ კუთხით, რომ მასში წარმოდგენილია სხვადასხვა მხარეების პოზიციები, თუმცა ცალკე აღებული სიუჟეტები დაუბალანსებელია და მხოლოდ ერთი მხარის შეფასებებს შეიცავს.


"ზარი" (სამტრედია) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, დაახლოებით 13 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო. გაშუქების 4 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო 2 წუთი - მთავრობას. გაშუქებულ სუბიექტებზე მხოლოდ ნეიტრალურ და პოზიტიურ ტონებში საუბრობდნენ. გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად სჭარბობდა ირიბს.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „ზარი“ ორი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა. ზოგიერთი სიუჟეტი განსაკუთრებულად დაუბალანსებელი და მიკერძოებული იყო, ჟურნალისტის ტექსტი - სუბიექტური. აღსანიშნავია, რომ არხი დიდ დროს უთმობს პარლამენტის წევრის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატის ავთანდილ სტურუას აქტივობების გაშუქებას. უფრო მეტიც, მისი კომენტარები არაპოლიტიკური სიუჟეტების მთავარ ნაწილსაც წარმოადგენდა. მაგალითად, 18 სექტემბერის გადაცემაში გავიდა სიუჟეტები, სადაც ნაჩვენები იყო როგორ მიულოცა პარლამენტის წევრმა მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება, აგრეთვე ესტუმრა საბავშვო ბაღს. სიუჟეტებში უხვად იყო კომენტარები, რომელიც მის მიმართ მკვეთრად პოზიტიურ განწყობას გამოხატავდა. მაგალითად: „ორი დივიდი პლეიერი გვაჩუქა და ახლა ბავშვები ამით იმდიდრებენ გონებას“ - განაცხადა საბავშვო ბაღის დირექტორმა.

საინტერესოა აგრეთვე ჟურნალისტის კომენტარი გარემონტებული სკოლის გახსნის შესახებ: „რეაბილიტაციის შედეგად მიღებული სიხარული მოსწავლეებმა გულში ვეღარ დაიტყეს“.


"მე-9 ტალღა" (ფოთი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, დაახლოებით 6 წუთი მთავრობას დაუთმო. გაშუქების 3 წუთი წილად ხვდა კოალიცია "ქართულ ოცნებას", ხოლო 2 წუთი - პრეზიდენტს.



მთავრობისთვის დათმობილი დროის 100% ნეგატიურ გაშუქებაზე მოდის. ნეგატიური ტონი გამოვლინდა ასევე პრეზიდენტზე საუბრის დროსაც (32%).



ასევე აღსანიშნავია, რომ მთავრობისთვის დათმობილი დროის ასივე პროცენტი ირიბ გაშუქებაზე მოდის.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღა“ მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ მცირე ნაწილს დაუთმოთ დრო. ხშირ შემთხვევაში სიუჟეტებში ინტერვიუერებს ტიტრი არ აქვთ, ამიტომ რთულია იმის გარკვევა, ვინ საუბრობს და არის თუ არა ის მონიტორინგის სუბიექტი. საინფორმაციო გადაცემების ერთ-ერთი მთავარი თემა საპატიმროებში პატიმართა წამების შესახებ გავრცელებული კადრები და ძალადობის წინააღმდეგ მოწყობილი საპროტესტო აქციები იყო. ამ თემის ირგვლივ მომზადებული სიუჟეტების შედეგია მთავრობის 100 %-ით ნეგატიურ ტონში გაშუქება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია ხშირად, გადაცემების მეორე ნაწილში, რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მომზადებულ სიუჟეტებს უთმობს ეთერს. ასევე რამდენჯერმე იყო ნაჩვენები ტელეკომპანია „25-ე არხის“ (ქ. ბათუმი) სიუჟეტები.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

24-30 სექტემბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მერვე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.